საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

# დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National Center for Disease Control & Public Health

№ 01/35-572 24 03 2011 წ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის
თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის"
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

გვსურს მოგახსენოთ, რომ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი" ამჟამად ახორციელებს საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდის ძირეულ განახლებით სამუშაოებს. ჩვენი ორგანიზაცია მიზნად ისახავს ისეთი ვებ-გვერდის შექმნას, რომელიც ორიენტირებული იქნება მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირებაზე და უპასუხებს თანამედროვე ინტერნეტ-სივრცის სტანდარტებს ინფორმაციის გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ეფექტურად გამოყენების კუთხით.

გაცნობებთ, რომ სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში" ნიშანდობლივი სამუშაოები მიმდინარეობს ახალი თანამედროვე ოფიციალური ვებ-გვერდის შესაქმნელად. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩვენი ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" სამომავლო თანამშრომლობა. ვთვლით, რომ ინსტიტუტის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები და კონსულტაციები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ჩვენს მიერ წამოწყებული პროექტის წარმატებით განსახორციელებას.

პატივისცემით,

ნატა ავალიანი
გენერალური დირექტორი

0177, თბილისის, მ. ასათიანის 9; 9 M. Asatiani st., Tbilisi, 0177, Georgia; Phone: (995-32) 39-89-46; 43-54-38, Fax:(995-32) 43-30-59
E-mail:ncdc@access.sanet.ge; ncdc@ncdc.ge